საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2018 წლის 15 ნოემბერი № 226

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მე-2 ტურთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მე-2 სატელევიზიო არხების, ასევე რადიო FM 102.4 არხის ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.

2. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2018 წლის 15 ნოემბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 ნოემბრამდე.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2018 წლის 15 ნოემბრიდან 2018 წლის 28 ნოემბრამდე
საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 4 წუთს, მეორე არხზე 20 წმ-ს ხოლო რადიო FM 102.4 3 წუთს.
ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	850	850
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	1 000	1 000
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	3 000	3 000
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	550	550

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	2 000	2 000

რადიო FM 102.4			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში)დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	200	200
12:00-16:59	ორშაბათი - კვირა	150	150
17:00-20:59	ორშაბათი - კვირა	250	250
21:00-02:00	ორშაბათი - კვირა	120	120

„15“ ნოემბერი 2018 წ.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი

ვასილ მაღლაფერიძე

204858163